

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი კანონის პროექტი წარმოადგენს „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანმდევ კანონის პროექტს და ასახავს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილ ცვლილებებს.

გასული წლების მანძილზე განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა საჯარო ფინანსების მართვის სრულყოფის, მათ შორის საბიუჯეტო სისტემის დახვეწის მიმართულებით. განხორციელებული რეფორმების შედეგებს ადასტურებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (IMF), მსოფლიო ბანკთან და სხვა პარტნიორ ორგანიზაციასთან, რათა მოხდეს საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა და დანერგვა საჯარო ფინანსების მართვის მიმდინარე რეფორმის ფარგლებში.

2017-2018 წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების ფარგლებში მომზადდა საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის და არსებული ფისკალური წესების შეფასება, შემუშავდა შესაბამისი სამოქმედო გეგმები. 2018 წელს ასევე გამოქვეყნდა საჯარო ფინანსების და ფინანსური ანგარიშგების შეფასების დოკუმენტი PEFA-ს მეთოდოლოგიით.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინებით „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანმდევ კანონის პროექტს წარმოადგენს „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი, რომელიც აზუსტებს დღეს არსებული ფისკალური წესები გამოყენების პირობებს, ამკაცრებს მათი დაცვის ვალდებულებას და დარღვევის შემთხვევაში რეაგირების საკითხს. ფისკალური წესების პროგნოზების წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტში ასახვისა და წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებაში მათზე ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულება ემატება საბიუჯეტო კოდექსს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

წარმოდგენილი კანონის პროექტი წარმოადგენს „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანმდევ კანონის პროექტს და ითვალსწინებს მისი ამოქმედებისათვის საჭირო რეგულაციების დადგენა/დაზუსტებას.

კანონპროექტი მიზნად ისახავს „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ფისკალური წესები დააზუსტოს და შესაბამისობაში მოიყვანოს საერთაშორისო სტანდარტებთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

- კანონპროექტი ითვალსწინებს „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლით დადგენილი ზღვრების დაზუსტებას, ფისკალური წესების ფარგლებში მოცული სექტორის გაფართოებას, წესებიდან გადახვევის პირობებისა და წესის დადგენას, კერძოდ:
 - ✓ ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-თან შეფარდებით 3%-იან ნიშნულზე შეზღუდვა გავრცელდება არა მხოლოდ ნაერთი ბიუჯეტზე (სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების კონსოლიდირებული ჯამი), არამედ მოიცავს მთლიანად სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი, რომელიც ნაერთი ბიუჯეტთან ერთად მოიცავს ყველა დონის ბიუჯეტების იმ საბიუჯეტო ორგანიზაციების ოპერაციებსაც, რომლებიც უფლებამოსილი არიან მიიღონ კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლები (სსიპები, ა(ა)იპები)
 - ✓ ზუსტდება მთავრობის ვალის დეფინიცია და ამ კანონის მიზნებისათვის იგი განისაზღვრება, როგორც სახელმწიფო ვალს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო ვალი გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღებული ვალდებულებებისა, ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ვალს, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან აღებული ვალისა;
 - ✓ ნათლად განისაზღვრება რომ კანონით დადგენილი ზღვრების დაცვა სავალდებულოა, როგორც დაგეგმვის ისე შესრულების ეტაპზე და დგინდება ანგარიშგების ვალდებულება ზღვრების დარღვევის შემთხვევაში;
 - ✓ განისაზღვრება ის პირობები, როდესაც შესაძლებელია სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი დაიგეგმოს ამ კანონით დადგენილი ზღვარზე უფრო მაღალი მაჩვენებლით, ეს პირობებია:
 - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გათვალისწინებული საგანგებო და საომარი მდგომარეობის შემთხვევაში;
 - ეკონომიკური ზრდის შენელების/რეცესიის შემთხვევაში, რომელიც განიმარტება, როგორც საქსტატის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით ბოლო ორი კვარტლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი წინა წლის

შესაბამის კვარტალთან, რომელიც 2 პროცენტული პუნქტით დაბალია გასული 10 წლის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელთან.

- ✓ ეკონომიკური ზრდის შენელების/რეცესია განიმარტება, როგორც კანონით დგინდება ვალდებულება, რომ ფისკალური წესებთან მიმართებაში ბიუჯეტის პროექტისა და შესრულების ანგარიშგების შესაბამისობის თაობაზე ინფორმაცია აისახოს შესაბამის დოკუმენტაციაში;
- კანონპროექტის მე-2 მუხლით შემოდის დორებითი რეგულაცია, რომელიც საქართველოს მთავორბას უფლებას აძლევს ამ კანონით დადგენილი ზღვრები არ დაიცვას იმ შემთხვევაში თუ განათლების სისტემის დაგეგმილი რეფორმისათვის საჭირო იქნება დამატებითი დაფინანსება. აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენება შესაძლებელია არაუგვიანეს 2025 წლისა, ერთჯერად და არაუმეტეს 3 წლის ვადით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ამასთან აზუსტებს ფისკალური ჩარჩოს ზღვრულ მოცულობებს, რომლითაც იზღუდება ბიუჯეტის დეფიციტის, ვალის აღებისა და შესაბამისად ხარჯების ზრდის შესაძლებლობა კანონმდებლობით დადგენილი ზღვარს მიღმა.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

- კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს მიერ ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

- კანონის პროექტი ითვალისწინებს ფისკალური პოლიტიკისთვის კანონმდებლობით დადგენილი ზღვრების და ფისკალური წესების დახვეწას მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და ადგენს ზოგად ჩარჩო პრინციპებს სახელმწიფო ერთიანი ბიუჯეტისათვის.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან\და საერთაშორისო ორგანიზაცია\დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტი მომზადებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესაბამისად.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან\და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.